



რეგისტრაციის N 68/36

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საჯარო სამსახურის ბიურო

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდის

ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი


ფრიდონ შენგელია

„28“ 12 2017 წელი

ეგზ. N1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო სამსახურის ბიუროს
2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური აუდიტის
ანგარიში CV68/36

სარჩევი


ინფორმაცია საჯარო სამსახურის ბიუროს შესახებ	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	7
1.1 მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	7
1.2 მოსაზრების საფუძველი	7
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	8
2.1 შრომის ანაზღაურება	8
2.2 შტატგარეშე მომუშავეების შრომის ანაზღაურება	8
2.3 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9
2.4 ძირითადი აქტივები	10
3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	11
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა	12
დანართი 1: საჯარო სამსახურის ბიუროს ფინანსური ანგარიშგება	14
ფორმა N1 - ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)	14
ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება	15
ფორმა N3. ფულადი მოძრაობის შესახებ ანგარიშგება	16
ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	18
ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხის შედარების ანგარიშგება	19
დანართი 2 : საჯარო სამსახურის ბიუროს განმარტებითი ბარათი	20
დანართი 3 : ფინანსური ანგარიშგების დანართები	21

ინფორმაცია საჯარო სამსახურის ბიუროს შესახებ

საჯარო სამსახურის ბიურო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. საჯარო სამსახურის ბიუროს ძირითადი მიზნები და ფუნქციებია:

- შეისწავლოს და გაანალიზოს საჯარო სამსახურის სფეროში არსებული მდგომარეობა; მონიტორინგი გაუწიოს საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, მასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების შესრულებას და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;
- შეიმუშაოს საჯარო სამსახურის სფეროში სამოქმედო სტანდარტების, ინსტრუქციების, სხვა მეთოდური აქტების, ნორმატიული აქტებისა და საკანონმდებლო წინადადებების პროექტები;
- საჯარო სამსახურის საბჭოსა და მისი წევრების საქმიანობის ორგანიზაციული, ტექნიკური, საინფორმაციო და საექსპერტო უზრუნველყოფა (საჯარო სამსახურის საბჭო შექმნილია საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათაბირო ორგანო, იგი შედგება 11 წევრისაგან, რომელთა უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. საჯარო სამსახურის საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს პრემიერ-მინისტრი);
- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღების, შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის საჯაროობისა და დეკლარაციის დროულად ჩაბარებაზე კონტროლი;
- თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგის უზრუნველყოფა.

მიზნის მისაღწევად, ბიურო ახორციელებს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, საჯარო სამსახურების ადამიანური რესურსების მართვის სისტემების გაუმჯობესებას და ელექტრონული მმართველობის პროექტების დანერგვას. საჯარო სამსახურის ბიუროს დებულებას, სტრუქტურასა და საშტატო ნუსხას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:



სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ასიგნებები და შესრულება მოცემულია ცხრილის სახით (ათასი ლარი):

დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა ¹	საკასო ხარჯი		
			სულ	საბიუჯეტო სახსრები	მიზნობრივი გრანტი
ხარჯები	1,245	1,265	993	971	22
შრომის ანაზღაურება	650	643	539	539	-
საქონელი და მომსახურება	575	595	445	423	22
სოც. უზრუნველყოფა	-	7	7	7	-
სხვა ხარჯები	20	20	2	2	-
არაფ. აქტივების ზრდა	155	135	181	88	93
სულ	1,400	1,400	1,174	1,059	115

მიზნობრივი გრანტი

საჯარო სამსახურის ბიუროსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის, 2016 წლის 20 მაისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება N1124, თანხით 131,140 ლარი². ხელშეკრულების დასრულების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 28 თებერვალი.

¹ დაზუსტებული გეგმა არ მოიცავს მიზნობრივი გრანტის თანხებს.

² საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 მაისის N828 განკარგულებითა და „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126

გრანტის ფარგლებში შეიქმნა/შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- ელექტრონული სერტიფიცირების პროგრამა;
- სასერტიფიკაციო ტესტების ბანკი;
- ბიუროს პოტენციალის ზრდა;
- სერტიფიცირების ელექტრონული სახელმძღვანელო;
- საინფორმაციო ვიდეორგოლი;
- მოეწყო კონფერენცია საჯარო მმართველობის შესახებ.

გრანტის ფარგლებში მიღებული თანხების შესახებ ინფორმაცია:

თარიღი	თანხა დოლარი	თანხა ლარი	კურსი
31.05.2016	32,530	72,639	2,233
21.07.2016	16,625	37,290	2,243
11.11.2016	9,000	21,501	2,389
სულ	58,155	131,430	

2016 წელს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაიხარჯა 115,093 ლარი (გრანტის 88%). 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მას ხაზინის ანგარიშზე ნაშთად ერიცხებოდა 16,337 ლარი.

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელობას

1.1 მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
- ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას;
- ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს³ აღნიშნული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი ანგარიშის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“ - ნაწილში.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ საჯარო სამსახურის ბიუროსგან დამოუკიდებელი აუდიტორები. ამასთანავე, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

³ საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 12-მდე.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1. შრომის ანაზღაურება

2016 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული თანხების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

შრომის ანაზღაურება (საშტატო)	2016 წელი	წილი
თანამდებობრივი სარგო	383,811	71 %
დანამატი	98,230	18%
პრემია	57,250	11%
სულ შრომის ანაზღაურება	539,291	100%

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის ბრძანებების⁴ თანახმად, „ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით“ წინასწარ, წლის განმავლობაში ხელმძღვანელ პირებზე (ბიუროს უფროსი, უფროსის მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები - სულ 7 თანამშრომელი) დანიშნულია დანამატები, რაც თავისი წინასწარი და ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე, უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს, ვიდრე დანამატის. აღნიშნული ბრძანებების საფუძველზე გაცემულია დანამატი 67,180 ლარის ოდენობით (სულ გაცემული დანამატის 68% და მთლიანი შომის ანაზღაურების 12%).

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის N43 დადგენილებით და „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საჯარო სამსახურის ბიუროს საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 26 ერთეულით.

2.2 შტატგარეშე მომუშავეების შრომის ანაზღაურება

საჯარო სამსახურის ბიუროში ცალკეულ შემთხვევაში შტატგარეშე მომუშავეთა (სულ - 7 შტატგარეშე მომუშავე) დასაქმება ხდება ხანგრძლივი პერიოდით (მთელი წლის განმავლობაში), ამასთანავე, არა დროებითი, არამედ, მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესრულების მიზნით. მაგალითად, საჯარო სამსახურის ბიუროში შტატგარეშე მომუშავეებად დასაქმებული არიან IT სპეციალისტები, პროგრამისტები, ბუღალტერი და ა.შ.

შტატგარეშე მომუშავეებად დასაქმებული არიან ისეთი თანამშრომლები, რომელთა საქმიანობა თავისი სპეციფიკით არ განირჩევა საშტატო ნუსხით დამტკიცებული ვაკანტური თანამდებობებისგან (სულ 3 ვაკანტური თანამდებობა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იყო დაუკომპლექტებელი⁵).

⁴ ბრძანებები: 2014 წლის 2 სექტემბერი, N69/სა, 2015 წლის 19 თებერვლის N6/სა და 2016 წლის 25 აგვისტოს N196/სა.

⁵ ადმინისტრაციულ დეპარტამენტში - სპეციალისტის თანამდებობა, საჯარო სამსახურში ინსტიტუციური მოწყობისა და პრაქტიკის განვითარების დეპარტამენტში - სპეციალისტის თანამდებობა, საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში - სპეციალისტის თანამდებობა.

მაგალითად, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში მთელი წლის განმავლობაში ვაკანტური იყო სპეციალისტის თანამდებობა, მაშინ როდესაც, იდენტური სამუშაო აღწერილობის მქონე თანამშრომლები დასაქმებული იყვნენ შტატგარეშე თანამშრომლებად.

აუდიტის დროს დადგინდა, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა აჭარბებს 5 მომუშავეს, თუმცა მთავრობის დადგენილებით⁶, საჯარო სამსახურის ბიუროზე არ გავრცელდა „საქართველოს 2016 სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვრა არა უმეტეს 18 ერთეულით. ფაქტობრივად, დასაქმებულთა რაოდენობამ 2016 წლისათვის საშუალოდ შეადგინა 15 ერთეული.

2016 წელს შტატგარეშე მომუშავეების „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული თანხების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

შრომის ანაზღაურება (შტატგარეშე)	2016 წელი	წილი
შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო	222,864	82 %
შტატგარეშე მომუშავეთა დანამატი	16,775	6 %
შტატგარეშე მომუშავეთა პრემია	32,475	12 %
სულ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	272,114	100 %

წარმოვადგენთ განმარტებას ანგარიშგებაში ასახულ ისეთ მუხლებზე, რომლებშიც წლის განმავლობაში შევიდა არსებითი ცვლილებები:

2.3 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

„სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლი შედგება შემდეგი თანხებისაგან:

დასახელება	31.12.2016	01.01.2016
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	30,799	-
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	11,300	-
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	12,451	12,451
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	-	2,253
სულ	54,550	14,704

- „მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ ასახულია ოფისის მიმდინარე რემონტისათვის 2016 წლის 25 ნოემბერს გაფორმებული N104 ხელშეკრულების საფუძველზე წინასწარ გადარიცხული თანხა 28,546 ლარის ოდენობით.
- „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ ანგარიშზე ასახულია საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთა სერტიფიცირების სახელმძღვანელოს

⁶ 2014 წლის 2 მაისის N766. მთავრობის დადგენილება

შექმნისათვის 2016 წლის 13 დეკემბერს გაფორმებული N111 ხელშეკრულების საფუძველზე წინასწარ გადარიცხული თანხა 11,300 ლარის ოდენობით.

- „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ ანგარიშზე ასახულია წინა საანგარიშგებო პერიოდებში გამოვლენილი დანაკლისები (12,451 ლარი), აღნიშნულ დანაკლისებზე მასალები გადაგზავნილია სამართალდამცავ ორგანოებში და მიმდინარეობს გამოძიება (იხ. დანართი 2: საჯარო სამსახურის განმარტებითი ბარათი).

2.4 ძირითადი აქტივები

ანგარიშგებაში ასახული „ძირითადი აქტივების“ მუხლი შედგება შემდეგი თანხებისაგან:

დასახელება	31.12.2016	01.01.2016
არასაცხოვრებელი შენობები	393,581	396,941
სატრანსპორტო საშუალებები	4,108	8,531
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	44,126	50,441
არამატერიალური ძირითადი აქტივები	156,801	25,968
სულ	598,616	481,881

„არამატერიალური ძირითადი აქტივების“ მუხლის ზრდა ძირითადად გამოწვეულია 2016 წელს განხორციელებული შემდეგი შესყიდვებით:

- მიღებული გრანტის ფარგლებში - სასერტიფიკაციო ტესტების ბანკი (30,000 ლარი);
- მიღებული გრანტის ფარგლებში - სერტიფიცირების ელექტრონული პლატფორმა (51,735 ლარი);
- დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემა (45,000 ლარი);
- დეკლარირების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (25,000 ლარი).

3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცლაკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთან, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ საჯარო სამსახურის ბიუროს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ საჯარო სამსახურის ბიუროს ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის - გამოვთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის

თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, საჯარო სამსახურის ბიურო შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით; აგრეთვე, უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნის თარიღი:

ხელმოწერა

მანანა ღვინაძე

უფროსი აუდიტორი

ნინო ამირანაშვილი

უფროსი აუდიტორი

გიორგი ჭოლოკავა

აუდიტორი

დანართი 1: საჯარო სამსახურის ბიუროს ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N1 - ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)

დასახელება (ლარი)	31.12.2016	01.01.2016
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	16,337	-
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	268	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	54,550	14,704
სხვა მატერიალური მარაგები	5,674	7,771
სულ მოკლევადიანი აქტივები	76,829	22,475
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	-	-
ძირითადი აქტივები	598,616	481,881
ფასეულობები	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	598,616	481,881
ბალანსი	675,445	504,356
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	-	-
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	2,707	2,866
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	2,707	2,866
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	2,707	2,866
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	672,738	501,490
გაუნაწილებელი მოგება	-	-
დაუფარავი ზარალი	-	-
სულ კაპიტალი	672,738	501,490
ბალანსი	675,445	504,356

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

დასახელება (ლარი)	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ	2015 წლის 31 დეკემბერი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	1,173,592		1,173,592	1,061,213
შემოსავლები	16,337	-	16,337	405,228
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	16,337	-	16,337	-
სხვა შემოსავლები	-	-	-	405,228
ა) ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	-	-	-	-
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	-	-	-
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	-	-	-	-
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	-	-	-	-
ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	-	-	-
სულ	1,189,929	-	1,189,929	1,466,441
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	539,292	-	539,292	502,125
საქონელი და მომსახურება	417,347	-	417,347	510,714
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	42,806	-	42,806	26,822
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	-	-	-	-
გრანტები	1,957	-	1,957	1,981
სოციალური უზრუნველყოფა	6,886	-	6,886	8,983
სხვა ხარჯები	2,208	-	2,208	10,775
სულ	1,010,496	-	1,010,496	1,061,401
ფინანსური შედეგი	179,433	-	179,433	405,040

ფორმა N3. ფულადი მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	171,248	-	-	171,248
კორექტირებები:	26,072	-	-	26,072
ცვეთა (+)	42,806	-	-	42,806
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	10,142	-	-	10,142
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	2,097	-	-	2,097
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	-	-	-	-
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(28,813)	-	-	(28,813)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(160)	-	-	(160)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	197,320	-	-	197,320
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	180,983	-	-	180,983
ძირითადი აქტივები	180,983	-	-	180,983
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(180,983)	-	-	(180,983)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა		-	-	

წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		-	-	
 ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	16,337	-	-	16,337
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	-	-	-	-
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	16,337	-	-	16,337
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორისი სხვაობა (-/+)	-	-	-	-
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	501,490	-	501,490
არასაოპერაციო შემოსავლები	-	-	-
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	-	-	-
არასაოპერაციო ხარჯები	8,185	-	8,185
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	8,185	-	8,185
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	-	-	-
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	-	-	-
მოგების გადასახადი	-	-	-
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	179,433	-	179,433
ნაშთი წლის ბოლოს	672,738	-	672,738

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხის შედარების ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი	გადახრა % დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
ხარჯები	1,245,000	1,264,800	2	992,695	(21,51)	1,018,681	3%
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	650,000	643,521	(1)	539,292	(16)	539,292	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	155,000	135,000	(13)	180,697	34	169,683	(6)
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-		-		-	-
ვალდებულებების კლება	-	200	100	200	-	-	-

დანართი 2 : საჯარო სამსახურის ბიუროს განმარტებითი ბარათი

საჯარო სამსახურის ბიუროს 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ბალანსის 1440 ანგარიშზე არსებული მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით 12,451 ლარი ასახულია შემდეგი მონაცემები:

- 2005 წელს საჯარო სამსახურის ბიუროს ოფისში მომხდარ ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით გამოვლენილი ზარალი 3,087 ლარი აღძრულია სისხლის სამართლის საქმე N07053107.
- 2007 წელს ხანძრის შედეგად განადგურებული ძირითადი საშუალებების ღირებულება 5,947 ლარი.
- 2014 წლის 07 მაისის N35/სა ბრძანების საფუძველზე ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად საჯარო სამსახურის ბიუროს ძირითადი აქტივების, ექსპლუატაციაში მყოფი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების და მარაგების დანაკლისმა შეადგინა 3,417 ლარი (მ.შ ძირითადი აქტივები საბალანსო ღირებულებით 2,428 ლარი, ექსპლუატაციაში მყოფი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები და მარაგები ღირებულებით 989 ლარი)

2. ბალანსის 1480 ანგარიშზე არსებული დებიტორული დავალიანება 1,336 ლარი წარმოშობილია 2006 წელს სს. თბილგაზის-ს მიმართ. აღნიშნულთან დაკავშირებით 2009 წელს შეტანილია სარჩელი.

3. ბალანსის დანართ ფორმა N5-ში ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ გასვლა- ასახულია სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის და სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისათვის 10,142 ლარის ღირებულების მქონე ძირითადი აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა.

4. პროგრამის განახლების ხარჯი, 286 ლარი, რომელიც გადარიცხვისას არასწორად დაკლასიფიცირდა 2232 მუხლიდან, ბუღალტრულ აღრიცხვაში დაემატა არამატერიალური აქტივის ღირებულებას, რადგან შინაარსობრივად არის აქტივის არსებითი გაუმჯობესების ხარჯი. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, პროგრამის განახლების თანხა 286 ლარი არ შედის ბალანსის დანართ N3-ის მუხლში „1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები“ მოცემულ საკასო ოპერაციებში და მონაწილეობას ღებულობს დანართი N5-ის მუხლის „2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივების“ მიმდინარე პერიოდის შესყიდვებში და ასევე, ფორმა N3-ის მუხლში „არაფინანსური აქტივების შესყიდვა“. აღნიშნული იწვევს სხვაობას დანართი N3-ის, დანართი N5-ისა და ფორმა N3-ის შესაბამის მუხლებს შორის.

5. 11,300 ლარი, რომელიც არის მიზნობრივი გრანტიდან, საბანკო გარანტიის საფუძველზე, ავანსად გადარიცხული თანხა არამატერიალური აქტივის შესაძენად, მონაწილეობას ღებულობს ბალანსის დანართი N3-ის მუხლში „1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები“ მოცემულ საკასო ოპერაციებში და არ შედის დანართი N5-ის მუხლის „2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივების“ მიმდინარე პერიოდის შესყიდვებში. აღნიშნული იწვევს სხვაობას დანართი N3-ის, დანართი N5-ისა და ფორმა N3-ის შესაბამის მუხლებს შორის.

დანართი 3 : ფინანსური ანგარიშგების დანართები

ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშგებასა და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ

აქტივები	31.12.2016	01.01.2016
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები		
ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	16,337	-
სხვა გადასახადები	268	-
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	30,799	-
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	11,300	-
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	12,451	12,451
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	-	2,253
II. არაფინანსური აქტივები		
ფულადი დოკუმენტები	-	84
სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	5,674	7,687
არასაცხოვრებელი შენობები	393,581	396,941
სატრანსპორტო საშუალებები	4,108	8,532
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	44,126	50,440
არამატერიალური ძირითადი აქტივები	156,801	25,968
ჯამი	675,445	504,356
ვალდებულებები და კაპიტალი	31.12.2016	01.01.2016
III. ვალდებულებები		
საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	2,607	2,866
გადასახდელი სხვა გადასახდელები	100	-
წმინდა ღირებულება	672,738	501,490
ჯამი	675,445	504,356
საცნობარო მუხლები		
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	1,800	3,480
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	15,843	-
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	45,815	46,691
საბანკო გარანტიები	39,846	-

ორგანიზაციის ანგარიში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

შემოსავლების და ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებუ ლება	ფაქტიური (საკასო)	დარიცხული
1. შემოსავლები	-	-	-	16,337	16,337
1.2 გრანტები	-	-	-	16,337	16,337
2. ხარჯები	1,245,000	1,264,800	1,121,074	992,695	1,018,682
2.1 შრომის ანაზღაურება	650,000	643,521	577,734	539,292	539,292
2.1.1 ხელფასები	650,000	643,521	577,734	539,292	539,292
2.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	-	-	577,734	539,292	539,292
2.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	-	-	399,174	383,812	383,812
2.1.1.1.3 პრემია	-	-	68,100	57,250	57,250
2.1.1.1.4 დანამატი	-	-	110,460	98,230	98,230
2.2 საქონელი და მომსახურება	575,000	594,590	534,396	444,459	417,347
2.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	328,943	272,115	271,846
2.2.2 მივლინებები	-	-	19,394	12,884	12,884
2.2.3 ოფისის ხარჯები	-	-	107,994	92,907	63,958
2.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-	23,425	19,406	19,003
2.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	-	-	183	183	183
2.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	-	-	23,582	16,228	18,191
2.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	-	-	30,876	30,736	31,283
2.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	42,806
2.6 გრანტები	-	-	-	-	10,142
2.6.3 გრანტები სხვა სახელმწიფო ერთეულებს	-	-	-	-	10,142
2.6.3.1 მიმდინარე	-	-	-	-	10,142
2.7 სოციალური უზრუნველყოფა	-	6,889	6,886	6,886	6,886
2.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	-	6,889	6,889	6,889	6,889
2.7.3.1 ფულადი ფორმით	-	6,889	6,889	6,889	6,889
2.8 სხვა ხარჯები	20,000	19,800	2,058	2,058	2,208
2.8.2 სხვადასხვა ხარჯები	-	-	2,058	2,058	2,208
2.8.2.1 მიმდინარე	-	-	2,058	2,058	2,208

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით ფაქტობრივი (საკასო) ოპერაციების შესახებ

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	ფაქტობრივი(საკასო)
1. არაფინანსური აქტივების ზრდა	155,000	135,000	180,697	180,697
1.1 ძირითადი აქტივები			180,697	180,697
1.1.1 შენობა-ნაგებობები			650	650
1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები			650	650
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			17,372	17,372
1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			17,372	17,372
1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები			162,675	162,675
1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები			162,675	162,675

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მიღება			გასვლა					ნაშთი წლის(პერიოდისთვის) ბოლოს
		შესყიდვა წინა წლების ავანსების	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	სხვა შემოსავლებით	არასაოპერაციო ხარჯები	გრანტებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	*სხვა გასვლები	
1. მატერიალური მარაგები	7,771	-	28,642	-	-	-	-	30,739	-	5,674
1.2.5 ფულადი დოკუმენტები	84	-	878	-	-	-	-	962	-	0
1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	7,687	-	27,763	-	-	-	-	29,777	-	5,674
2. ძირითადი აქტივები	481,882	-	169,682	-	8,185	1,957	42,806	-	-	598,616
2.1 შენობა-ნაგებობები	396,941	-	650	-	-	-	4,010	-	-	393,581
2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	58,973	-	17,371	-	8,185	1,957	17,970	-	-	48,234
2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	8,532	-	-	-	-	-	4,424	-	-	4,108
2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	50,441	-	17,372	-	8,185	1,957	13,546	-	-	44,126
2.3 სხვა ძირითადი აქტივები	25,968	-	151,661	-	-	-	20,827	-	-	156,801
2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	25,968	-	151,661	-	-	-	20,827	-	-	156,801
3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	-	-	6,261	395	-	-	-	6,656	-	-

ინფორმაცია მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსების შესახებ

	უცხოურ ვალუტაში	ეროვნულ ვალუტაში	სულ თანხა ლარებში		
			გეგმა	ფაქტობრივი (საკასო)	დარიცხულ ი
გრანტის მთლიანი მოცულობა	58,155	131,430	131,430	115,093	
მ.შ. მიღებული თანხა		131,430	131,430	131,430	
მ.შ. სულ დამტკიცებული მოცულობა		131,430	131,430	131,430	
ხარჯები			24,190	22,418	31,646
შრომის ანაზღაურება					
საქონელი და მომსახურება			24,190	22,418	23,009
არაფინანსური აქტივების ზრდა			107,241	92,675	8,638
სულ მიმდინარე წლის დამტკიცებული მოცულობა			131,430	115,093	
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები გრანტის თანხით				16,337	

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში ბოლოს		საანგარიშო პერიოდში გაწეული ფაქტობრივი ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული დარიცხული ხარჯი			
	რაოდენობა	ლირებულზე	რაოდენობა	ლირებულზე	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	1	8,532	1	4,108	14,609	6,169	6,708	930	16,572	6,167	8,591	1,006
„ჯიპები“ და „პიკაპები“	1	8,532	1	4,108	14,609	6,169	6,708	930	16,572	6,167	8,591	1,006

ინფორმაცია ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხული დებიტორული დავალიანებათა შესახებ

დასახელება	31.12.2016 დარიცხული დებიტორული დავალიანება	მათ შორის, წარმოშობის წლების მიხედვით				
	სულ	1996- 2005წ.	2006წ	2007წ	2014წ	2016წ
ს უ ლ	54,818	3,087	1,336	5,947	3,417	41,031
<i>გადასახდელები (წინასწარ, ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხებით წარმოქმნილი დავალიანებები)</i>	42,367	-	1,336	-	-	41,031
<i>საქონელი და მომსახურება</i>	30,917	-	1,336	-		29,581
<i>მ.შ. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება</i>	268	-	-	-	-	268
<i>ოფისის ხარჯები</i>	29,300	-	-	-	-	29,300
<i>ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები</i>	12	-	-	-	-	12
სხვა ხარჯები	150	-	-	-	-	150
არაფინანსური აქტივების ზრდა	11,300	-	-	-	-	11,300
მათ შორის, სხვა მოთხოვნები (გარდა საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მუხლებისა)	12,451	-	-	-	-	-
დანაკლისი	12,451	3,087	-	5,947	3,417	-

ინფორმაცია ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ

დასახელება	31.12.2016 წლისათვის რიცხული კრედიტორული დავალიანებები	წარმოშობის წელი
	სულ	2016
ს უ ლ:	2,707	2,707
გადასახდელები	2,607	2,607
საქონელი და მომსახურება	2,607	2,607
ოფისის ხარჯები	1,842	1,842
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა- შენახვის ხარჯები	765	765
სხვა ხარჯები	100	100
<i>სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები</i>	100	100

ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში

ორგანიზაციის დასახელება	დებიტი თანხა	წარმ. თარიღი	წარმოშობის საფუძველი	მუხლი
ააიპ სამართლებრივი კვლევების ცენტრი	11,300	19/12/2016	ხელშეკრულება / საბანკო გარანტია	სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები
შპს „პოსტპოინტ“	125	5/8/2016	სსლ სერთიფიკატის ლიცენზია	საქონელი და მომსახურება
სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	626	6/10/2016	საკანონმდებლო მაცნეს პროგრამა	საქონელი და მომსახურება
სახელმწიფო ხაზინა	150	27/05/2016	სასამართლო ბაჟი	სხვა ხარჯები
შპს „კავკასუს ონლაინ“	3	4/2/2016	დომენის საფასური დეკლარაცია.ჯი საიტისათვის 3057218	საქონელი და მომსახურება
შპს „სი თი პარკი“	12	31/03/2016	წლიური პარკირების საფასური	საქონელი და მომსახურება
კ/ს „კოწიწაშვილი და კომპანია „	28,546	7/12/2016	ხელშეკრულება / საბანკო გარანტია	საქონელი და მომსახურება
ერთიანი ანგარიში; საგადასახადო ინსპექცია	268	26/10/2016	ზედმეტად გადახდა - საშემოსავლო	საქონელი და მომსახურება

ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში

ორგანიზაციის დასახელება	კრედიტი თანხა	წარმ. თარიღი	წარმოშობის საფუძველი	მუხლი
შპს „საქართველოს ფოსტა“	345	31/12/2016	ანგარიშ-ფაქტურა	საქონელი და მომსახურება
შპს „მაგთიკომი“	403	31/12/2016	ანგარიშ-ფაქტურა	საქონელი და მომსახურება
შპს „მაიფონი“	12	31/12/2016	ანგარიშ-ფაქტურა	საქონელი და მომსახურება
შპს „რომპეტროლ საქართველო“	765	31/12/2016	ანგარიშ-ფაქტურა	საქონელი და მომსახურება
სახელმწიფო ხაზინა	100	26/12/2016	სასამართლო გადაწყვეტილება	სხვადასხვა ხარჯები
სს „თელასი“ 202052580	1,082	31/12/2016	ანგარიშ-ფაქტურა	საქონელი და მომსახურება

